დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დადგენილება #20, 22/04/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულები

თბილისი

2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულების მიზანია, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების მინიმალური რაოდენობისა და შესაბამისი თანაფარდობების დადგენა, რაც წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის წინაპირობას.

მუხლი 2. კრიტერიუმები და ზღვრული ნიშნულები

2.1 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სამეცნიერო/აკადემიური/მოწვეული პერსონალის (შემდგომში „მთლიანი პერსონალი“) და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება შემდეგი სამიზნე ნიშნულების გათვალისწინება:

2.1.1. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ - 1/5-ს.

2.1.2. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური პერსონალის მთლიან რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ - ½-ს.

2.1.3. აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა მოწვეული ლექტორების მთლიან რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ - 1/3 -ს.

2.1.4. აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან (ადმინისტრაციასთან) შეადგენს არაუმეტეს – 5/1-ს.

2.1.5.აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასთან შეადგენს არაუმეტეს- 15/1 -ს.

2.1.6. მთლიანი პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ - 10/1-ს.

2.1.7. სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციის რაოდენობასთან შეადგენს არაუმეტეს 50/1-ს.

2.1.8. სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა პერსონალის რაოდენობასთან:

2.1.8.1. სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან შეადგენს არაუმეტეს - 40/1-ს პროგრამის დონეზე; სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან შეადგენს არაუმეტეს - 60/1-ს საუნივერსიტეტო დონეზე.

2.1.8.2. სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა მთლიანი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან შეადგენს არაუმეტეს - 20/1-ს.

2.1.9. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უნდა იყოს არანაკლებ 3-ისა. პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას უნდა შეესაბამებოდეს მინიმუმ 2 პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი.

2.1.13. საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა შეადგენს არანაკლებ 1/5-ს;

2.2. წინამდებარე მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები დგინდება საუნივერსიტეტო, სკოლის ან/და პროგრამის დონეზე.

2.2. ამ მუხლის, 2.1.4, 2.1.5, 2.1.7 პუნქტებით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები გამოიანგარიშება მხოლოდ საუნივერსიტეტო დონეზე.

2.3. სწავლის სფეროს გათვალისწინებით, ერთი და იგივე აკადემიური და მოწვეული პერსონალი ეთვლება ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც იგი მონაწილეობს.

2.4. სკოლის თითოეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 3 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

2.5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/განახლების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ზემოთ დადგენილი ნიშნულები.

2.6. მატერიალური რესურსის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ნიშნულები:

2.6.1. აუდიტორიაში სტრუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას, აუდიტორიის ფართის თანაფარდობა ჯგუფში არსებულ სტუდენტთა რაოდენობასთან უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2-ს.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

3.1 ზემოთ დადგენილ ნიშნულებთან მიმართებით განსხვავებული ნიშნულები შეიძლება დადგინდეს იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა

სწავლის შედეგები მოითხოვს სპეციფიკური პროფესიული/პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე პერსონალის მოწვევას.

3.2 დასაშვებია განსხვავებული მაჩვენებლების არსებობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და/ან არსებულის სრულად ამოქმედებამდე.

3.3. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მის დამტკიცებისთანავე.

3.4. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.